



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

პლატფორმის განცხადება "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის პროექტზე

საქართველოს ეროვნულ პლატფორმაში გაერთიანებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები კვლავ გამოვხატავენ პროტესტს, მმართველი უმრავლესობის წარმომადგენლების მიერ მომზადებული "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის პროექტების პარლამენტში წარდგენის გამო.

მივმართავთ პარლამენტს, დროულად თქვას უარი საქართველოს ევროპული მომავლისთვის დამაზიანებელ პროცესზე.

სრული პასუხისგებლობით ვაცხადებთ, რომ კანონის მიღება, დიდი ალბათობით, გახდება საქართველოს მიერ, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებაზე უარის თქმის მიზეზი. აღნიშნულზე არაორაზროვნად მიგვანიშნეს ყველაზე მაღალი ევროპული ტრიბუნებიდან.

არავის აქვს უფლება, გადადგას ნაბიჯები, რომელიც საქართველოს მოქალაქეების დიდი უმრავლესობის, საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის, ქვეყნის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების წინააღმდეგ არის მიმართული.

კანონის მიღებას და, შესაბამისად, ანტიდასავლურ ნაბიჯს მოჰყვება საქართველოსთვის მძიმე შედეგი არა მარტო პოლიტიკური, დემოკრატიული განვითარების შეფერხების კუთხით, არამედ ასევე ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემების მორყევის, ეკონომიკური, მათ შორის გარე ინვესტიციების მკვეთრად შემცირებისა და მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის დამძიმების თვალსაზრისითაც.

ბუნებრივია, რომ პარლამენტის თითოეულ წევრს დაეკისრება პასუხისგებლობა ქვეყნის თითოეული მოქალაქის, ქართველი ერის მომავალზე.

ვართ მზად, მივიღოთ მონაწილეობა დისკუსიებში, მათ შორის პარლამენტში, რათა პრინციპების დონეზე ავხსნათ ჩვენი პოზიცია პროცესის ზიანის მასშტაბებისა და მისი დროულად დასრულების აუცილებლობის თაობაზე და, ამგვარად, გამოვიყენოთ დიდი თუ მცირე შესაძლებლობა ქვეყნის პოზიტიური, პროდასავლური განვითარებისთვის.